



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

პირველი სამუშაო ჯგუფის,
გენდერული თანასწორობის ქვეჯგუფის
შეხვედრის ოქმი

თარიღი: 15 სექტემბერი, 2017 წელი

დრო: 16:00 – 18:00 საათი

შეხვედრის ადგილი: კაფე “ იარდი”

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ლია ნადარაია - ქალთა პოლიტიკური რესურს ცენტრი;
2. ქეთევან კურცხალია - ქალთა პოლიტიკური რესურს ცენტრი ;
3. ჩარიტა ჯაში - კავკასიის განვითარების ჯგუფი;
4. თეონა ჩიქოვანი - ქალთა საინფორმაციო ცენტრი;
5. ხათუნა ჩარგაზია - სამოქალაქო განვითარების და ადამიანის უფლებათა ცენტრი;
6. მარიამ რომელაშვილი - საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება;
7. თამარ ავალიანი - ადამიანის უფლებათა ცენტრი;
8. მერი კაპანაძე - დემოკრატიულ ინიციატივათა საერთაშორისო ცენტრი;
9. ინგა ხუციშვილი - სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი;
10. ელენა ფილიევა - კონსტიტუციის 42-ე მუხლი;
11. ქრისტინა კილანავა - ასოციაცია ”იმედი” დევნილ ქალთა მოძრაობა.

განსახილველი საკითხები:

1. გენდერული თანასწორობის ქვეჯგუფის სამოქმედო გეგმის შემუშავება:
 - სამუშაო მეთოდების დახვეწა
 - ხილვადობის გაზრდა
 - ინფორმაციული ბანკის შექმნა
2. და სხვა.

ქვეჯგუფის შეხვედრა გახსნა ორგანიზაციის „ქალთა პოლიტიკური რესურს ცენტრის“ წარმომადგენელმა ქალბატონმა ლია ნადარაიამ და დამსწრეებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი. თავდაპირველად, ქალბატონმა ლია ნადარაიამ მოკლედ მიმოიხილა ქვეჯგუფის ჩამოყალიბების საერთაშორისო და ადგილობრივი წინაპირობები. გაუზიარა ქვეჯგუფის წევრებს ორი საერთაშორისო შეხვედრის შედეგები.

შეხვედრის მონაწილეებმა იმსჯელეს საქართველოში ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის ისტორიული განვითარების ეტაპებზე: საერთაშორისო ინსტრუმენტების რატიფიცირება, გენდერული თანასწორობისათვის პირველადი მნიშვნელობის მქონე ინსტიტუციონალური და საკანონმდებლო ჩარჩოს ჩამოყალიბება.

ორგანიზაციის „კავკასიის განვითარების ჯგუფი“-ის წარმომადგენელმა ქალბატონმა ჩარიტა ჯაშმა აღნიშნა, რომ პლატფორმის მუშაობა და კერძოდ გენდერული თანასწორობის ქვეჯგუფის მუშაობა ასოცირების ხელშეკრულებაში გათვალისწინებული პრიორიტეტების ფორმატში უნდა მიმდინარეობდეს, მათ შორის ქალთა ეკონომიკური გაძლიერება, ქალთა მიგრაცია, გენდერული ბიუჯეტი ასევე გენდერული თანასწორობის პრობლემა ეთნიკურ უმცირესობებში.

გენდერული ქვეჯგუფის წევრებმა გამოთქვეს აზრი თუ როგორ უნდა გააძლიერონ ქვეჯგუფი და პირველ ეტაპზე რა აქტივობები არის განსახორციელებელი ამ მიზნის მისაღწევად:

1. ქვეჯგუფის სამუშაო რეგლამენტის განსაზღვრა და შეთანხმება 1 სამუშაო ჯგუფის ადმინისტრაციასთან;
2. ქვეჯგუფის გაძლიერება და ექსპერტული პოტენციალის გაზრდა, ძლიერი ქალთა უფლებადამცავი და გენდერული თანასწორობის მიმართულებით მქონე ორგანიზაციების ქვეჯგუფში გაწევრიანების გზით.
3. ქვეჯგუფის წევრების კომუნიკაცია:

ქვეჯგუფის მონაწილეები შეთანხმდნენ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებაზე: Facebook - ითა და Google docs - ით ინფორმაციის გაცვლაზე, შეხვედრებზე რეგიონალური წარმომადგენლების SKYPE - ით ჩართვაზე.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

ქვეჯგუფის კოორდინატორი : ქეთევან კურცხალია